ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1150070

ნომერი: AR1198930

თარიღი : 21.02.2014

გაცემის თარიღი : 04.03.2014

გაცნობის თარიღი : 05.03.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისის , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი გრძელიშვილი პ/ნ 01013008703
- თბილისი ვარკეთილის მას. IV მ/რ II რიგი კორ. 2 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ნიუ ჰაუსი" კოდი: 404914287;

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.08.2011 წ. #1163 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 21.02.2014 წ. #AR1198930 განცხადებით მომართა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე შპს ,,ნიუ ჰაუსი“–ს დირექტორმა ანდრო დოლიძემ და აკაკი გრძელიშვილმა და მოითხოვეს 05.08.2011 წ. #1163 მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 05.08.2011 წ. #01.10.15.007.039 (903 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე სტუდენტური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად დამტკიცდა #1163 (05.08.2011) სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა სპეციალური ზონა (სპეცზ). აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია სტუდენტური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.10.15.007.039 ფართობი –903 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: 882014015001), რომლის თანახმადაც შეცვლილია მხოლოდ მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია, ფართობისა და საკადასტრო კოდის უცვლელად.

მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.08.2011 წ. #1163 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.10.15.007.039 ფართობი –903 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი: 882014015001);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.08.2011 წ. #1163 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-903 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.10.15.007.039;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.08.2011 წ. #1163 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში დამკვეთად შპს „MODERN GEORGIAN HOUSE"–ის ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „ნიუ ჰაუსი";
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.08.2011 წ. #1163 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.